

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ცხადდება კონკურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ შესრულებული გამოყენებითი სახის პროექტების დასაფინანსებლად

საბუთების შემოტანა - 15 ივნისიდან 3 ივლისამდე

(პროექტის საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 3.07.09. 15<sup>00</sup>)

უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო მოღვაწეობის სტიმულირების, სამეცნიერო კადრების დასაქმებისა და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით სტუ-ს რექტორის ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომელიც განკარგავს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და სხვა საფინანსო წყაროებიდან საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარებისთვის მოზიდულ სახსრებს.

აღნიშნული თანხების მიზანდასახული განკარგვისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს სტუ-ში დამუშავებული პროექტების კონკურსს, სადაც პრიორიტეტი ენიჭება კომერციულ პროექტებს. აუთვისებელი რესურსების არსებობის შემთხვევაში კომისია გრანტის სახით დააფინანსებს სამეცნიერო-კვლევითი სახის პროექტებს. აღნიშნულ შემთხვევაში კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ენიჭებათ სტუ-დან ეროვნულ ფონდში წარდგენილ დაუფინანსებელ სამეცნიერო ხასიათის პროექტებს, რომელთა დაფინანსების მოთხოვნა არ აღემატებოდა 50 000 ლარს.

საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების მაქსიმალური ხანგრძლივობაა – 24 თვე. ფონდის მიერ დასაფინანსებელი პროექტების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს.

დაწვრილებითი ინფორმაცია პროექტის გაფორმების წესების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სტუ-ს სამეცნიერო დეპარტამენტში - ადმინისტრაციული კორპუსი, ოთახი №333; ტელ. ქალ. 36-52-28; საუნივერსიტეტო – 65-23.

საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სამეცნიერო  
დეპარტამენტის უფროსი,  
პროფესორი

დავით თავხელიძე

### კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო მოთხოვნები

კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევათ სამეცნიერო–საინჟინრო თვალსაზრისით პერსპექტიულ და ქვეყნის ეკონომიკისათვის აქტუალური პროექტების ავტორებს. კერძოდ, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ტექნიკური უნივერსიტეტიდან წარდგენილ პროექტებში მონაწილე სამეცნიერო ჯგუფებს, სტუ-ს ცალკეულ თანამშრომლებს და ფაკულტეტებზე არსებულ საინჟინრო მომსახურების, თუ სამეცნიერო ცენტრებს:

1. პროექტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი და მენეჯერი. მენეჯერი ან სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყვნენ წამყვანი ორგანიზაციის მუდმივი ან დროებითი თანამშრომლები. შესაძლოა მენეჯერი და სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს ერთი და იგივე პიროვნება;
2. წარმოდგენილ პროექტებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაკალავრიატის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების აქტიური პროფესიული მონაწილეობა;
3. კომისიაში საკონკურსო პროექტების წარდგენა დაიწყება კონკურსის გამოცხადებიდან არანაკლებ 10 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ და გაგრძელდება არანაკლებ 5 სამუშაო დღის განმავლობაში; მათი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება იწარმოებს არა ნაკლებ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. პროექტის ძირითად შემსრულებლებს (მენეჯერისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩათვლით) არ შეუძლიათ ერთდროულად მონაწილეობა მიიღონ ერთზე მეტ საკონკურსო პროექტში.

**პროექტის გაფორმების წესი**

**სატიტულო ფურცელი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

პროექტის დასახელება -----

-----

მეცნიერების და ტექნიკის დარგი -----

-----

პროექტი წარდგენილია მეცნიერების განვითარების  
ხელშემწყობ კომისიაში “-----” “-----” 2009 წ.

რეგისტრაციის №.....

პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი) ----- (ხელმოწერა);

საწარმოს ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)----- (ხელმოწერა)

**თბილისი -2009**

## მომღევნო გვერდები

|                            |  |
|----------------------------|--|
| <b>პროექტის დასახელება</b> |  |
|----------------------------|--|

|                                      |  |
|--------------------------------------|--|
| <b>მეცნიერების და ტექნიკის სფერო</b> |  |
|--------------------------------------|--|

|                              |            |
|------------------------------|------------|
| <b>პროექტის ხანგრძლივობა</b> | <b>თვე</b> |
|------------------------------|------------|

პროექტის სახე:      კომერციული            სამეცნიერო -კვლევითი     

მონაწილეობდა თუ არა პროექტი სხვა ფონდის კონკურსში (სსნფ, GRDF, YHTL და სხვ)

კი            არა     

თუ პროექტი მონაწილეობდა სხვა კონკურსში, გთხოვთ დაახასიათოთ პროექტის ურთიერთობა სხვა სამეცნიერო ფონდებთან ( ფინანსდება თუ არა პროექტი მიმდინარე ეტაპზე, ხოლო თუ პროექტი კონკურსში წარდგენის შემდეგ არ იქნა დაფინანსებული, გთხოვთ მოგვაწოდოთ რეგისტრაციის ნომერი და თარიღი; თუ პროექტი წარდგენილი იყო სსნფ-ში მაშინ საჭიროა წარმოდგენოთ შესაბამისი ცნობა პროექტის მიერ მიღებული ქულების ჯამური რაოდენობის ჩვენებით).

|  |
|--|
|  |
|--|

|   |  |
|---|--|
| <b>პროექტში მონაწილე საწარმოო ორგანიზაცია</b> |  |
|---|--|

|  |
|--|
| <p><b>პროექტის ძირითადი ამოცანები და მიზნები</b></p> <p>(რეფერატი - მაქსიმუმ 150 სიტყვა)</p> |
|  |

**პროექტის ხელმძღვანელის მონაცემები**

| სახელი   | გვარი     |
|--|-----------|
| სამეცნიერო თუ აკადემიური წოდება                |           |
| ფაკულტეტი, მიმართულება და/ან სამეცნიერო ცენტრი |           |
| საკონტაქტო ინფორმაცია                          | მისამართი |
|  | ტელეფონი  |
|  | მობილური  |
|  | ფაქსი     |
|  | ელ.ფოსტა  |

|  |  |  |
|--|--|--|
|  |  |  |
|--|--|--|

(ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს CV)

**პროექტის მენეჯერის მონაცემები**

| სახელი   | გვარი     |  |
|--|-----------|--|
| სამეცნიერო თუ აკადემიური წოდება                |           |  |
| ფაკულტეტი, მიმართულება და/ან სამეცნიერო ცენტრი |           |  |
| საკონტაქტო ინფორმაცია                          | მისამართი |  |
|  | ტელეფონი  |  |
|  | მობილური  |  |
|  | ფაქსი     |  |
|  | ელ.ფოსტა  |  |

(ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს CV)

იმ შემთხვევაში, თუ პროექტი კომერციული სახისაა და პროექტის შესრულებაში აქტიურადაა ჩართული საწარმოო ორგანიზაცია, მოგვაწოდეთ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მონაცემები

**საწარმოო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მონაცემები**

| სახელი                 | გვარი     |  |
|------------------------|-----------|--|
| საკონტაქტო ინფორმაცია. | მისამართი |  |
|                        | ტელეფონი  |  |
|                        | მობილური  |  |
|                        | ფაქსი     |  |

|  |          |  |
|--|----------|--|
|  | ელ.ფოსტა |  |
|--|----------|--|

## პროექტის შინაარსი (არა უმეტეს ოთხი გვერდისა)

პროექტში განხილული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

1. პრობლემის შინაარსი და აქტუალობა;
2. პრობლემის გადაწყვეტის მეთოდები; არსებული მეთოდების ანალიზი;
3. პროექტის ძირითადი მიზნები და პრობლემის გადაწყვეტა;
4. პრობლემის გადაწყვეტის შედეგად მიღებული რეზულტატები;
5. რა არის საჭირო, რომ მოხდეს პროექტის წარმატებული შესრულება;
6. აღწერეთ პროექტის შესრულების ინდიკატორები –პერსპექტივები და პროექტის რეალიზების წინაპირობა საწარმოებში;
7. რისკების ანალიზი, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას პროექტის შესრულებისას.

## პროექტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს

1. ბიზნეს წინადადება – ერთი გვერდი
2. პროექტის შესრულების კალენდარული გეგმა;
3. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა;
4. უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე (თუ არსებობს);
5. პროექტის ბიუჯეტი -ხარჯთაღრიცხვა ლარებში (ნახე ცხრილი ა);
6. განმარტების წერილი პროექტში მონაწილე საწარმოო ორგანიზაციიდან;
7. პროექტის საკონკურსო კომისიაში შემოგანამდე (სურვილისა და მიხედვით) ავტორებს შეუძლიათ პროექტის ელექტრონული ვერსია დააფიქსირონ, როგორც ავტორთა (ავტორის) ინტელექტუალური საკუთრება სტუ-ს კომერციულ დეპარტამენტში (გ. სიბაშვილთან);
8. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე (ნაბეჭდი – სათაურები 14, ხოლო ტექსტი 12 ფონტებით, ერთ ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიით (CD-R). საკონკურსო კომისია არ ანაზღაურებს პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გაწეულ ხარჯებს;
9. საკონკურსო პროცედურა ითვალისწინებს ავტორთა მიერ პროექტის პრეზენტაციას კომისიის წევრთა წინაშე, რისთვისაც პროექტი ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს *Power Point* ფორმატში.

**ა.ხარჯთაღრიცხვა\***

| №  | მუხლის დასახელება                      | წელი | მათ შორის |       |        |       |
|----|--|------|-----------|-------|--------|-------|
|    |  |      | 2009      |       |        |       |
|    |  |      | I კვ      | II კვ | III კვ | IV კვ |
| 1  | საერთო ხარჯები                         |      |           |       |        |       |
| 2  | მიმდინარე ხარჯები                      |      |           |       |        |       |
| 3  | შრომის ანაზღაურება მ.შ.                |      |           |       |        |       |
| 4  | ხელფასი                                |      |           |       |        |       |
| 5  | დანამატი                               |      |           |       |        |       |
| 6  | საქონელი და მომსახურება მ.შ.           |      |           |       |        |       |
| 7  | მივლინებები                            |      |           |       |        |       |
| 8  | ოფისის ხარჯები                         |      |           |       |        |       |
| 9  | კომუნალური ხარჯები                     |      |           |       |        |       |
| 10 | სატრანსპორტო ხარჯები                   |      |           |       |        |       |
| 11 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება |      |           |       |        |       |
| 12 | არაფინანსური აქტივები მ.შ.             |      |           |       |        |       |
| 13 | ინვენტარ-მოწყობილობის შეძენა           |      |           |       |        |       |
|    | <b>სულ ხარჯები</b>                     |      |           |       |        |       |



### პროექტის ხელმძღვანელის ხელის მოწერა

\* გამარჯვებული პროექტის დეტალურ ხარჯთაღრიცხვას ადგენს სტუ-ს ადმინისტრაცია წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის მიხედვით და პროექტს აფინანსებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. პროექტების განხორციელების პერიოდში შიგნით ბიუჯეტების მოცულობები არ არის სავალდებულო იყოს თანაბარი, ისინი უნდა დაიგეგმოს საჭიროებისამებრ პროექტის განხორციელების ბიზნეს გეგმის მიხედვით.